სსიპ კოლეჯი მოდუსი

4 ჟიული შარტავას გამზირი
3700 რუსთავი, საქართველო
+995 (0341) 25 20 41
info@modusi.ge

13/02/2026

MES 4 26 0000158412

სსიპ კოლეჯი მოდუსის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე და 61-ე, მუხლების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N44/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის –კოლეჯის ,,მოდუსი“ წესდების მე-5 მუხლის „გ“ და "თ" პუნქტების, სსიპ კოლეჯი მოდუსის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერის 2026 წლის 12 თებერვლის N151870 სამსახურებრივი შესაბამისად,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს სსიპ კოლეჯი მოდუსის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა ამ ბრძანების **დანართი N1**-ის შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ კოლეჯი მოდუსის 2025 წლის 18 მარტის N295112 ბრძანება;
3. დაევალოს კოლეჯის IT სპეციალისტს დავით მარანელს ამ ბრძანების და მისი დანართის გამოქვეყნება კოლეჯის ვებ-გვერდზე;
4. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა კოლეჯის დირექტორის მოადგილეების, ხარისხის მართვის მენეჯერის, მარნეულის მენეჯერის, იურისტის და IT სპეციალისტისთვის;
5. ბრძანება ძალაში შედის გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის №6).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ კოლეჯი "მოდუსი"
დირექტორი
ქავთარაძე ნინო

დანართი N1

სსიპ კოლეჯი მოდუსის
პროფესიული განათლების მასწავლებელი

1. თანამდებობა
პროფესიული განათლების მასწავლებელი;
2. თანამდებობის ძირითადი მიზანი
პროფესიული სტუდენტების სწავლება;
3. ექვემდებარება
სასწავლო პროცესის მენეჯერს და/ან სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერს;
4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები
შესაბამისი პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება, ან/და პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი არანაკლებ ბოლო 10 წლის განმავლობაში სულ მცირე 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
5. კვალიფიკაცია/კომპეტენცია
• *უნდა იცნობდეს საქართველოს კანონს "პროფესიული განათლების შესახებ" და აღნიშნული კანონით განსაზღვრულ სისტემასთან დაკავშირებულ ძირითად რეგულაციებს;* • *უნდა იცნობდეს სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიას;*
6. ორგანიზაციის სპეციფიკური ცოდნა
უნდა იცნობდეს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულ(ებ)ს და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტებს;
7. დამატებითი ცოდნა
საოფისე პროგრამების ცოდნა
8. დამატებითი უნარ-ჩვევები
• *ქართულ ენაზე გამართულად წერა და მეტყველება;* • *ანალიტიკური აზროვნება;* • *ეფექტური კომუნიკაცია;* • *კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრა;* • *პროფესიული ეთიკა და პასუხისმგებლობა;* • *უწყვეტი განვითარება და ადაპტურობა;* • *დეტალებზე ორიენტირებულობა;*
9. ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები
პროფესიული სტუდენტისებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა და მათ მიმართ თანაბარი ყურადღების გამოჩენა განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის და სხვა ნიშნისა;
საჭიროების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

კომპეტენციის ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში მონაწილეობის მიღება;
პროგრამით განსაზღვრული მოდულების ადაპტირებაში მონაწილეობა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად;
სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგის შერჩევა, სწავლების მაღალპროფესიულ დონეზე ჩატარება;
შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისთვის სწავლებისა და შეფასებისათვის საჭირო დოკუმენტაციის, კერძოდ: კალენდარული გეგმის, მოდულის შეფასების ინსტრუმენტის (საჭიროების შემთხვევაში - შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების), პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებისა და უწყისების დროული მიწოდება;
ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებში ჩართულობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით;
პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება კომპეტენციების დადასტურების/ვერ დადასტურების, შეფასების (მათ შორის, შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის), გადაბარების და აპელაციის წესების შესახებ;
პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის უზრუნველყოფა;
პროფესიულ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა;
პროფესიული სტუდენტისთვის, სასწავლო პროცესში მიმდინარე ყველა ცვლილების/სიახლის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება;
პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო დისციპლინის დარღვევის და/ან ნებისმიერი ტიპის გადაცდომის შემთხვევაში ადმინისტრაციის დროული ინფორმირება;
სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, კომპეტენციის ფარგლებში კომისიებში ჩართულობა;
კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაციის შესაბამის პასუხისმგებელ პირთან ერთად, სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სასწავლო რესურსის განსაზღვრა მახასიათებლებით;
სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო სახარჯი მასალის/აღჭურვილობის დროული მოთხოვნა და გამოყენება სასწავლო პროცესში;
სწავლების პროცესში უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფა;
უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და კოლეჯის მიერ შეთავაზებულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ სწავლებებში ჩართვაზე მზაობა;
სასწავლო პროცესის მიზნებისთვის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის დროულად შექმნა/მიწოდება;
პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროებების კვლევაში მონაწილეობის მიღება;
მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯის წესდებით, შინაგანაწესით სასწავლო პროცესის რეგულირების წესით და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პირობების დაცვა;
10. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქციაში ცვლილების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

გავეცანი და ვეთანხმები

პროფესიული განათლების მასწავლებელი ----------

ხელმოწერა ----------

თარიღი ----------